№ 222
კვირა, 15 ოქტომბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 222
კვირა, 15 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1896 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტ ფ ი ლ ი ს ი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

### ქართული თეატრი.

კვირას, 15 ოქტომბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ბ-ნ ავალიშვილისა, ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა

## „იაკობელები“

ისტ. დრამა 5 მოქმედ. ფრ. კოპპესი თარგ. პ. ყიფიანისა და გრ. ყიფშიძისა.

ამ წარმოდგენისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსი და მომზადებულია დროს შესაფერი მოწყობილება.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, ცაგარელი, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ოტტელო“ დრ. ვ. შექსპირისა თარგ. თ. ვ. მაჩაბლისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

შაბათს, 21 ოქტომბერს, საღამოზედ ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია **კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა.**

განსახილველად დანიშნულია შემდეგი:

1. ადმინისტრატიული საგნები.
2. მოხსენება კავკასიის იურიდიულ საზოგადოების გამმიჯვნელ კომისიისა. (3—უ.—1).

## კაბინეტი კბილის ექიმთა

**ვ. ი. ჩიჩინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ოსები ივანეს ძე რატილი

სთხოვს ყველა მსურველთ ახლავ შეატყობინონ მას მომღერალთ დასში შესვლის სურვილი; რეპეტიციები ამ კვირაში დაიწყება.
ადრესი: ვორონცოვის ქუჩა, № 5. (5—უ—1).

21 ოქტომბერს გამართული იქნება ბათუმში მემკვიდრე ცესარევიჩის საქალაქო ბულვარზედ ლატარია-ალეგრი **„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ბათუმის სკოლის** სასარგებლოდ.

ამ სკოლის სამზრუნველო გამგეობა დიდად იმედოვნებს, რომ ყველა შეეწევა მას, რითაც-კი შეეძლება.

შემოწირულებას მიიღებენ: კნეინა ნ. გ. შარვაშიძისა და ქ-ნნი: ნ. ა. დუმბაძისა. მ. კ. მხეიძისა, ნ. დ. ბერძენიშვილისა და თ. ი. საბაევისა. (3—2).

**სამეურნეო სკოლაში კურსდამთავრებული** 4 წლის პრაქტიკის მქონი, სხვათა შორის, მცოდნე მეფუტკრეობისა, ეძებს ადგილს. ადრესი „ივერიის“ რედაქციაში. (3—ნ.—2).

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—12)

### ტფილისი, 15 ოქტომბერი.

გუშინ-წინ „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ სხდომაზედ წაკითხულ იქმნა თავ. ალ. მ. არღუთინსკის მიერ ძლიერ საყურადღებო მოხსენება ბორჩალოს მაზრის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ეს მოხსენება ნაწილია ვრცელის საკომერციო გამოკვლევისა, რომელიც მოხდენილ იქმნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის განკარგულებისამებრ და რომელიც შეეხება იმ ადგილებს, სადაც გაივლის ყარსისა და ტფილისის რკინის გზა. სწორედ სამწუხაროა, რომ რკინის გზის მმართველობა საჭიროდ არ სცნობს დაჰბეჭდოს ხოლმე ამგვარი გამოკვლევანი. ჩვენის ქვეყნის შესახებ ეკონომიურ-სტატისტიკური ლიტერატურა ისე ღარიბია, რომ ყოველი ამგვარი აღწერილობა მეტად საყურადღებო იქნება ყველასათვის. რადგანაც ხსენებული გამოკვლევა დაბეჭდილი არ არის, ამიტომ, სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლიან სავსებით ვისარგებლოთ ბევრ საყურადღებო ცნობითა და სტატისტიკურის მასალით. ჩვენ განვუზიარებთ მკითხველთ მხოლოდ საზოგადო შთაბეჭდილებას ორიოდე საგნის შესახებ:

ბორჩალოს მაზრა ერთი უდიდესი მაზრათაგანია ტფილისის გუბერნიაში და საკმაოდ ხშირად არის დასახლებული. უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა სომეხი და თათარია; ბლომად არის აგრეთვე რუსები (მოლოკანები და დუხობორები—ძალით დასახლებულნი და მ: რთლ-მადიდებელი რუსებიც—თავისის ნებით რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულნი); არის გერმანელთა და ბერძენთა კოლონიებიც; ყველაზედ ნაკლებად სცხოვრობენ ქართველები. ეკონომიური მდგომარეობა ამ სხვა-და-სხვა ერისა ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშინ როდესაც გერმანელნი და რუსები შეძლებულები არიან, სომხები უფრო ნაკლების შეძლებისანი, ქართველების და თათრების მდგომარეობა ფრიად უნუგეშო და საშინელია.

ოდესმე ბორჩალოში საკმაოდ ბლომად იყო ქართველობა; დღეს

## ფელეტონი

### ხალხის ცხოვრებიდგან.

(დასასრული *)

### V

— ნუ ხარ, თიკო, მაგეთი შიშიმქრალა, ნუ! იი, ქაა! მაგრე წრეს გადასვლაც არაში ვარგა: ერთი ბეწვა რამეზედ საფთხეში გაბმულ ჩიტუნასავით და ნამილოკია კურდღელივით გული გისქდება, შიშით ილევი, ფოთოლივითა ჰცახცახებ, ჰწითლდები, ჰყვითლდები, ჰტირი, იმდურები, და არ ვიცი-კი რისათვინ იშხამავ სიცოცხლეს ცუდ-უბრალოზედ?! ჰკვით მაიქე, ქალაიავ, ჰკვით! გული ლომისა გაიხადე და გაბედულობა ვეფხვისა, თორე მუდამ საგონებელ საწადელს ვერ მეეწევი და შენ ცხოვრებას შენივე სილაჩრით გაიჯოჯოხეთებ. აბა მაგაზე რა გადარდებს და რა განაღვლებს, შე ქრისტიანო: რით ვიცხოვრებთო. შენ მაგაზე ფიქრი ნუ გაქვს, ფიქრი! თუკი იტყვიან-ყე: ბრძენი, ქვიდამაც სიბრძნეს გამაიღებსო, გაიოზის ვაჟკაცური მხნეობა და გარჯილობა კიდე უდაბურ ხრიოკ მინდორზედაც ედემის ბაღს ააშენებს, ოქროს პურღვინოს მაიყვანს, ღვთისაგან ნაკურთხ ცხვარ-ძროხასაც გააჩენს, ბროლ-მარმარილოს კოშკს ააგებს, მზეთ-უნახავ ეთერივით შიგ ჩაგსვამს, თამარ-დედოფალივით გაცხოვრებს და მტერს მტრულად დაუხვდება და მოყვარეს მოყვრულად. აი რა უთქვამ იმ დღეს მსწავლულ დიონეს გაიოზისათვინ: „შენ იგეთი კითილი ჰკვა-გულის პატრონი ხარ და იგრე ცხადად ძირის-ძირობამდინ იცი ხალხის ცხოვრების ავ-კარგი, რო როდისმე მამასახლისობა უნდა მოვაცემინო შენთვინ სოფელს, და აბა მაშინ ვეცადნეთ, ძმაო გაიოზ, იგრე სამაგალითოდ ავაყვავილოთ ჩვენი საძაღლოდ გამხდარი სოფელი ყველანაირი სიკეთე-მადლით, რო ამ ჩვენი სოფლის ქება-სახელი რუსეთამდინაც-კი მიდიოდეს და მისაბაძავ მაგალითად ედგას თვალ-წინო“. ი გაიხაროს ყველას გულშემატკივარმა დიონეს მზესავით განათლებულმა თავმა, იმან რო მაიწადინოს, რას არ იზამს, თუნდა დალმა მიმავალ ალაზანს ალმა მიაბრუნებს. ორი წელიწადი არც-კია, რაც ის სოფლად მოტრიალდა საჰწაულიდამ, მაგრამ სოფელს თავისი თავიც არ ეყვარება იგრე, როგორც დიონე უყვარს, მიაჩნია, და პატივსა ჰცემს ყველა იმის პირიდამ ამოსულ საკეთილო რჩევა-დარიგებას.

— მართლა ემაგრე უთქვამ, ქა, გაიოზისათვინ?—შეეკითხა ამ ამბით გულ-ნასიამოვნები თიკო.

— მართლა უთქვამ, ქა, მაჰ გატყუებ-რა. იმ დღეს მამაშენიც არ გეუბნებოდათ შენ და დედაშენს: „მწავლულ დიონეს ღვიძლ ძმაზედაც მეტად უყვარს ჩვენი გაიოზიო“, ამ სიტყვებზედ თიკოს მარგალიტივით კუნწულა ცრემლები გადმოსცვივდა, და მარეხიმ-კი ისევ განაგრძო: ი რალა ჰთქვი ქა, ტვინთხელაძეს უმუქრნიაო. აბა, შე გასახარელო, იგრე დავარდება მკლავ-გულ ძლიერი გაიოზი, რომ ტვინთხელაძისთანა სათოკე კუდაზნიკები საბოზბაშე ლავაშივით არ დახივ-დაგლიჯოს უიარაღოთაც?! მაჰ შენ კიდე ვერ გიცვნია გაიოზი, და ამას იქით გაიცნობ ბიჭსა ჰკვით სავსე ღვთიანსა, მტერთან ლომს ომახიანსა!

— ეჰ, ჩემო დედათ ნაფიცო მარეხო, მაგას გულის გასაკეთებლად მეუბნები, და იმას-კი მიმალავ, რო ტვინთხელაძისთანა ღალატიანი ულმერთო წუნკალა ძაღლივით მიეპარება ხოლმე ადამიანს სამტროთ, და მიპარვით-კი ლომებსაცა ჰხოცავენ,—ამ თქმაზე მწველი სიყვარულით გულამჩვილებულ თიკოს უცბად გული ყელში მოებჯინა, სული შეუგუბდა, ცრემლები გადმოჰსქდა და გულ-დამწყვეტი ქვითინით განაგრძო მოთმინებიდამ გამოსულმა:—აღარ მინდა აქ ცხოვრება, აღარ! ოხრათა და ტიალათამც დარჩომილა ყველა! ჩვავალ გაიოზთან შორს, შორს სადმე სხვა ქვეყანაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ღრუბელიც თვალს ვერ მოგვაწვდენს, არც მაშინ დამეხსნებიან!.. ღმერთო! რა უნდათ ჩემგან, ვის რა დავუშავე, რატო არ დამეხსნებიან, მე ვინც მიყვარს, ის უნდა შავირთო, რა უნდათ ჩემგან, რა! რა!.. საწყალია, მაგრამ რა ვუყო რო საწყალია, გაიოზთან მუდამ დღეც რო აფშრუკული ნაცარი ვჭამო, მაინც ბედნიერი ვიქნები, მაინც მთელი ქვეყნის მდიდარ ხემწიფეებზედაც არ გავცვლი იმას—არ გავცვლი, არა! არა!.. სხვასთან სამოთხეში ყოფნას გაიოზთან ჯოჯოხეთში სიკვდილი მირჩევნია ათას წილად. მეყო, მეყო, რაც ვიტანჯე, უიმისოდ ველარ ვიცოცხლებ, ამთენ სატანჯველს გული ველარ აიტანს, ველარ გაუძლებს—თუნდა მამკლან, თუნდა დამახრჩონ, თუნდა საკირეში ჩამაგდონ, რაც უნდა მიყონ!.. ღმერთო! ღმერთო! რა უნდათ ჩემგან, რა! რა!..

კარგა ხანს იქვითინა მწარედ გულამღურღვრებულმა თიკომ სახეზედ ხელებ-მიფარებით, და ბოლოს, როცა ქვითინით გული მოიოხა და ყელთან მოწოლილი ნაღვლის ცრემლის ამოღვრით გულზე საფლავის ლოდივით დაწოლილი სევდა მოეშვა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს იმათკენ მიმავალ მეზობლის დედაკაცებს მოჰკრა თვალი—და სიტყვა ჩაწყვეტილს გრძნობიერი გულის მღელვარება უცბად დაუდინჯდა, ცრემლნადენი თვალნი ელვის მკრთომელნი ხელში ნაჭერ ჩულქით გადიწმინდა საჩქაროდ და მისმა შემწუხარებულმა სახემ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო ნაძალადევად.

ერთმანეთის მისალამ-ქალამების შემდეგ, მეზობლის დედაკაცები, რომელნიც ხელ-მარდად ჰქსოვდნენ საბაზრო წინდებს, გვერდით მიუსხდნენ თიკოსა და მარეხის დაჩრდილულ ხასხასა მწვანიანზე.

— ქა, თქვენც გაიგეთ?—იკითხა ახლად მოსულთაგანმა.

— რა, ქა? შეეკითხა მარეხი.

— მაშ არა გაგიგიათ-რა?

— არა, ქა, რა მაჰხდა?

— იი, ქაა! შათონთქოლებული ქვეყანა ერთმანეთს ეცა და რა მაჰხდაო?!

— რა მაჰხდა, ადამიანო, თქვი, კარგი ერთი, ნუ ამზრავლებ.

— რა მაჰხდა და ის მაჰხდა, რო თუქურმიშაში ვიღაც დედა-კაცს ოთხ-თავა ფთიანი ყმაწვილი დაჰბადებია, ერთი თვისა რო გამხდარა ყმაწვილს ფთები დაჰბუმბლია და გამოფრენილა ღამე სახლიდგან, უფრენია...

— ვიშშშ! რაღა ვქნა!.. ესაოცრა მარეხის.

— უფრენია, უფრენია—და სიღ-

*) იხ. „ივერია“ № 221.

იქ სამ-ათასზედ ცოტა მეტი ქართველია. მათი მდგომარეობა, როგორც ვთქვით, მეტად უნუგეშოა. რეფერენტის მოწმობით და სხვა ყველა ცნობით ბორჩალოს ქართველი გლეხი მეტად მშრომელია მარჯვე, ნიჭიერი და თავისის მდგომარეობის გაუმჯობესების მსურველი. მაგრამ მიუხედავად ყველა ღირსებისა, მიუხედავად გადამეტებულის შრომისა ის სულ უკან-უკან მიდის, უფრო და უფრო ღარიბდება. მძიმე სურათი იხატება მეთვალყურის წინაშე, როდესაც ბორჩალოს ქართულ სოფელს ხედავს: სიღარიბე ხმა-მაღლა ღაღადებს და ადამიანს საშინელს სასოწარკვეთილებასა ჰგვრის... საქმე იმ უკიდურესობამდის მივიდა, რომ ქართველ მცხოვრებთა გამრავლება შეჩერდა!

რამ მიიყვანა აქამდის ეს მშრომელი ხალხიო, იკითხავს მკითხველი. დააკვირდით მისს მიწათ-მფლობელობას და ზოგიერთ სხვა გარემოებას, აქედგან ადვილად გაიგებთ მიზეზსაც!

ქართველი გლეხები ბორჩალოში დღემდის დროებით-ვალდებულნი არიან. მათ მეტად ნაკლები მიწა-წყალი აქვთ. მათი ნადელი $3^1/_2$-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე სახაზინო გლეხის მამული და შვიდჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე მესაკუთრე გლეხის მიწა წყალი! ამგვარის მიკროსკოპიულის მამულის პატრონი თავისუფალი რომ იყოს ყოველგვარ გარდასახადიდგან, მაშინაც ძლივ-ძლივობით გამოიკვებავდა თავს. ახლა-კი ის უხდის მემამულეს $^1/_4$ მიწის შემოსავლისას და სამ-სამ მანეთს კომლზედ; დაუმატეთ ამას მრავალი სხვა კანონიერი გარდასახადი და სხვა-და-სხვა ნაირი ბეგარა—ნებსითნი და უნებლიეთნი—და იფიქრეთ, როგორ უნდა გასძლოს, როგორ უნდა მოახერხოს თავისის მდგომარეობის გაუმჯობესება ბორჩალოს ქართველმა გლეხმა!

უარესს მდგომარეობაში ყოფილა კიდევ ბორჩალოს თათრობა! როგორც ქართველები, უმეტესი ნაწილი თათრებისა დროებით-ვალდებული გლეხია და იმდენივე, თუ უფრო მეტი არა, გარდასახადი აწევს კისერზედ. 17% მათგანი-კი სრულიად უმიწა-წყლო ყოფილა! მიწით შევიწროებული გლეხი იჯარით იღებს მიწას, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ის პირობები, რომლითაც ხდება ეს იჯარით მამულის აღება. აქაც შუამავლობა ყოფილა, ისე რომ მემამულეც და შუამავალიც „სინდისიერად" სარგებლობენ გლეხის უზომო გაჭირვებით. თათრებს ტყავს აძრობს ყველა, ჩარჩობა-მევახშეობას იქ მაგრად მოუკიდია ფეხი. ადმინისტრატულ-იურიდიული მდგომარეობა მაზრისა საკვირვლად ცუდია... ჩაუფიქრდით ყველა ამას და სთქვით, როგორ უნდა იზრუნოს თათარმა თავისს კეთილდღეობისათვის?!

შეხედეთ ახლა რასა და რას არ ამბობენ ბორჩალოს თათრებზედ: ისინი ზარმაცნიც არიან, ველურნიც, ქურდ-ავაზაკნიც და სხვა-და-სხვა! განა ამგვარ უბედურს მდგომარეობაში ჩაყენებულ ხალხის გამტყუნება სამარცხვინო არ არის?! განა იოტისოდენა სიმართლე მიუძღვის იმ უსინდისო პუბლიცისტებს, რომელნიც უზომოდ შევიწროებულ ერს ველურობასა და ავაზაკობას უკიჟინებენ?!.

იმავე ბორჩალოს მაზრაში, როგორც ვსთქვით, სცხოვრობენ გერმანელნიც. ესენი მთავრობამ გამოიწერა ვიურტემბერგიდგან, რათა მათის მაგალითით მკვიდრთ ესარგებლათ და კულტურა გაეუმჯობესებინათ. გერმანელნი მშვენიერად დასახლკარდნენ, გამდიდრდნენ, მაგრამ ვერავითარი კულტურული გავლენა ქვეყანაზედ ვერ მოიპოვეს. ეს გასაკვირველიც არ არის: მკვიდრნი იმგვარად იყვნენ და არიან შევიწროებულნი, რომ რაც უნდა სურვილი ჰქონდეთ, ვერავითარს კარგს მაგალითს ვერ წაბაძავენ! წაბაძვისთვისაც საშუალებაა საჭირო! გერმანელთ დასახლ-კარებისათვის მთავრობამ დიდძალი მსხვერპლი შესწირა: მათ მოუჭრეს დიდ-ძალი მიწა, დაურიგეს ბლომად ფული და მრავალის წლით ყოველის გარდასახადიდგან გაანთავისუფლეს! ისედაც კულტურულმა ერმა, რასაკვირველია, სავსებით ისარგებლა სამაგალითო სიუხვით და მშვენიერად მოეწყო... ამავე დროს კულტურით ჩამორჩენილნი მკვიდრნი უპატრონ-უმზრუნველოდ იყვნენ მიგდებული, თითქმის უმიწა-წყლოთ დასტოვეს, აუარებელი გარდასახადი თავს დაადვეს და შემდეგ ამისა, გაკვირვებით გაიძახიან: რა ველური ხალხია, არა ეშველება-რა მასაო & სხვა-&-სხვა. ხალხს ხელიდგან გამოაცალეს ყოველივე სალარი ადამიანურის ცხოვრებისათვის და შემდეგ გაიძახიან: თათრებს ავაზაკობა, ქურდობა, კაცისკვლა ურჩევნიანთ მყუდრო ცხოვრებას და მშვიდობიანს შრომასაო!..

ავაზაკობისა და ქურდობის მოსასპობლად უსინდისო პუბლიცისტები სხვა-და-სხვა საშუალებაზედ გვითითებენ: ერთი გაიძახის—თათარი ჩაფარი არ ვარგა, ყაზახი რუსი მოვიყვანოთ, ის მოსპობს ავაზაკობასაო, მეორე ღაღადებს—მკვიდრთ იარაღი ავყაროთო და საქმეს ეშველებაო და სხვა. განა უსინდისობა მეტი იქნება—ნამდვილ მიზეზებს გვერდს უხვევენ და ზღაპრებით უნდათ საზოგადოების დაძინება?!

ლალი.

## თავ. რაფაელ ერისთავის იუბილეის გამო.

ჩვენს დიდებულს მხცოვანს პოეტს სხვა მრავალ შესანიშნავ ლექსთა შორის აქვს ერთი ხელის-ხელ საგოგმანებელი ლექსი: „სამშობლო ხევსურისა". არ მეგულება ისეთი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომელმაც ეს ლექსი ზეპირად არ იცოდეს, ვიცნობ ისეთებსაც რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ ეს ლექსი და მისი შინაარსი-კი იციან. დიაღ ამ ლექსს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი—მას კითხულობენ სცენაზედ, მას კითხულობენ მეჯლის-ნადიმზე და სხვაგან. ვინ იცის ამ ლექსს რამდენისთვის აუჩქროლებია გული, რამდენისთვის ნეტარების ცრემლი მოუყენებია თვალზედ, რამდენს ლახვარივით მოხვედრია გულში, ვინ იცის რამდენი სამშობლოზედ ხელ-აღებული აუკვნეს-აუცრემლებია, რამდენს მოვლინებია მოძღვრად და დაურიგებია: — უკეთურო, უბადრუკო, სამშობლოს გამცემო, იუდავ, სამშობლოს სალ-კლდეების სარა-სასახლეებში გამცვლელო, ნუ სცვლი შენ დედა-სამშობლოს სხვის ქვეყანაზედ, თუ გინდ ის სამოთხე იყოსო, აგონებს გზა-დაბნეულს ცხოვარს.

დიაღ! იმდენად ძლიერია ეს ლექსი, რომ რაფაელს მეტი არა დაეწერარა, მაინც უკვდავი იქნებოდა და ვიდრე ჩვენი ერი ერად იქნებოდა „სამშობლო ხევსურის" ავტორს მის გულში ძეგლი ექნებოდა აგებული. და აი დღეს რაკი საუკეთესო შემთხვევა გვეძლევა მისი დიდის ხნის შრომა-ღვაწლი დავაფასოთ, სამშობლოს ერთგულად სამსახურისთვის მადლობა ვუთხრათ, იმაზედ გვინდა დაფიქრება, რომ მადლობა ღირსეული იყოს და როგორც იუბილარის ღვაწლი დაუვიწყარი და ნაყოფიერია, მადლობაც მზგავსივე უნდა გამოვსთქვათ— შევუფერადოთ და შევუხამოთ მედღესასწაულე პოეტის სულის კვეთებას. დეე, ის დღე იყოს სამახსოვროდ ჩვენდა შვილით-შვილადმდე.

ამ დღის დიდებულება უპირველესად გამოვხატოთ იმითი, რომ ჩვენზედ უკან ჩამორჩენილ მოძმე ხევსურებს, იუბილარის საყვარელს თემს, რაფაელის სახელზედ სკოლა ავუგოთ. ხევსურეთი კარგა მოზრდილი კუთხეა ჩვენის ქვეყნისა, კარგი ნიჭის პატრონი მცხოვრებლებით არის დასახლებული, წარსულში სამშობლოს დაცვაშიაც დიდი მსხვერპლი მიუძღვით და აი ეს ერი დღეს უსკოლოთ არის დატოვებული. რაფაელმა მათ უძღვნა ლექსი—,,სამშობლო ხევსურისა''. ჩვენც ამ დღის მოსაგონებლად ვუძღვნათ განათლების ლამპარი. ავუგოთ სკოლა, საცა პატარა ხევსურები „ჩააჭიკჭიკებენ": „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".

აპ. წულაძე.

14 ოქტომბერი.

# ახალი ამბავი

*** როგორც გვაცნობეს გუშინ, ქართული წარმოდგენა დღეს უთუოდ იქნება, რადგანაც უკვე დაუსრულებიათ ელექტრონის ქვაბისა და სხვა წამხდარ ნაწილების შეკეთება.

*** ადგილობრივის გაზეთების სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერს ლ. პ. მასტიცკის, რომელმაც დააარსა ვერაზედ ღარიბთა ღამის გასათევი, განზრახვა აქვს ასეთივე ღამის გასათევი გახსნას ავლაბარშიო.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ."-ს აუწყებენ ქუთაისიდგან, იქაური საგუბერნიო ადმინისტრაცია ახალის ხარჯთ-აღრიცხვით ქუთაისის სამეურნეო სკოლისათვის 18,000 მანეთს კრედიტს თურმე თხოულობს.

---

ნალის ციხე-გალავანზე-კი დასკუპებულა. ახლა რო დასკუპებულა, ჯერ ერთ თავს უყვირნია საზარელი ხმით მთელი ქიზიყისათვის: ნურა გჯერათრა ნაჰწავლებისა და ნუ აჰყოლიხართ იმათ რჩევა-დარიგებას, თორე ქვალოდებს ვაწვიმებთ და ყველას ჩაგრეგვამთ და ამოგულეტამთოო, ახლა მეორეს უყვირნია: დააქცივეთ ქვითკირ-კრამიტიანი სახლები და იგრევ გომურებში იცხოვრეთ, როგორც თქვენ მამა-პაპას უცხოვრნია, თორე ცეცხლს ვაწვიმებთ და ყველას დაგწვამთ-დაგხრუკამთოო, ახლა მესამეს უყვირნია: ნუ აძლევთ შვილებს სკოლაში და ნუ აჰწავლით წიგნს, თორე რაც-კი ჯოჯოხეთში ქაჯ-ეშმაკები არიან—სუ ძირ ჩამოვყრით პანტაპუნტით და მღუღარე კუპრის გენიაში ამოგახრჩობინებთოო; ახლა მეოთხეს უყვირნია: ავათ და ცუდათ ნუ იხსენიებთ ვაჭრებსა და მკითხავ-ქადაგებს, თორე რაც-კი ქვეყნის გაჩენიდამ დუნიაზე მგელ-ნადირები დახოცილან, სულ დავაცოცხლებთ და იმათ დავაჭმევინებთ თქვენ საზიზღარ თავ-ტანსო. ბოლოს ერთი საზარლად დაუწივლნიათ მეორეთ მოსვლის ხმაზე და თელავისაყენ გაფრენილან. ეხლა ქვეყანა სუ იმასა ლაპარაკობს: ეგ ოთხ-თავა გველეშაპი ღვთისგან იქნება მოგზავნილიო, სუ შამაიელის მთელ საქართველოჰ და ვინც იმათ ნათქვამზედ არ გაივლის—ვაი იმის დედასო,—გულ-შეშინებულის კილოთი დააბოლოვა მანდილოსანმა.

— უი, ტა-ტა-ტა! უწინ წყლით წარღვნა ჰქოდნია, ქა, და ეხლა-კი, როგორც ქვეყანა არ გამაიცვალა და გაეშმაკდა, ალბათ ღმერთსაც ქვეყნის ცოდვის საფერისად შაუცვლია წარღვნაც,—თავის ქნევით წარმოსთქვა მარეხიმ და ახლა ის შეეკითხა მანდილოსნებს:— თქვენც გაიგეთ, ქა?

— რა, ქა?—უცბად მიახალეს ახლად მოსულებმა და მოუთმენლობის გაფაციცებით შააჰყიტეს ცბიერი თვალები.

— რა ვიცი, ქა, დიონეს გაზეთი მაჰსვლიაო, რო ამას იქით, რაც-კი ქვეყნიჰამია მატყუარა ხალხია: ვაჭრები თუ მოვახშეები, მოქრთამე-მოხელეები თუ მკითხავ-ქადაგები და სხვა იმათთანა გაიძვერა-გაქნილები— სუყველანი საკირეში უნდა დაწვან ხოლმე მწავლულებმაო და ქვა კირის ბადლათ იმათი კირი უნდა ახმარონყე კალატოზებმა ახალმოდნის სახლებსო.

—ი, ჩაიტიტნენ! ჩაიტიტნენ და ჩაძვრნენ მიწაში ისინიცა და იმათი გაზეთებიც!..ეგე მაგითანა ღვთისაწყენო რალაცეებსა ჰჯღაბნიან ი შავბნელი-შვილები, მწავლულები არიან თუ რალაცა ეშმაკები და შავი ჭირები და ღმერთმაც ემაგიტო მოგვიძულა და ოთხ-თავა დევიც იმიტო მოგვიგზავნა: ან სუ მორჯულდით, ჩემი მოგზავნილიჰ ნათქვამზე იარეთ, ან სუ ერთიანად გაჰწყდით, გაინაშენით და გაიბრაჰტენითო,—გულ-გარისხებით წარმოსთქვა ახლად მოსულმა მანდილოსანმა და სახეზე გაალმასებული სიკაპასის ალმური აედინა.

— როგო წინწიბურივით მოგეჭიდა მა გულზე, შე დასაქცეო, რადგანაც ქმარი ვაჭარი გყავ და დედამთილი მკითხავი, დიდი კუდიანი და ქვეშ-ქვეშა გველ-კუი რამა ხარ, ვინც არ გიცნობს? ახლა ზოგი სხვასაცა ჰკითხე, როგო უხარიანთ-და!.. ცოტა არ იყო დაცინვის ხითხითით უპასუხა მარეხიმ, რის გამოც ნარცეცხლა მანდილოსანი უფრო ძირის პურივით წამოიტკრიცა სიავსულით, მორევივით არეული გული საკბენად აუღრნიდა, ენა გველის შხამ-გესლით გაეჟღენთა, თვალებიდამ ცოფიანი ბრაზის ელვა-ცეცხლი გამოუკრთა, მეხის ღრუბელივით გასაზარელდა თავით-ფეხამდის და ბევრი უკადრისი მკვახე-მკვახე სიტყვები მიაბღერტა სეტყვასავით, რის პასუხად პირ-გამეხებულმა და გულ-გაავთრებულმა მარეხიმ უფრო მწვავე-მწვავე სიტყვის მსხვილ-მსხვილი ყუმბარები მიახალა და მიახალა ჭექა-ქუხილით გაავთრებულ მანდილოსანს, რომლის მოულალავი ენა-პირი მუდამ-ჟამს იმ ამყრალებულ სანაგვესა ჰგავნდა, სადაც მთელის ქვეყნის ყოველ-გვარ უწმინდურებას ერთად მოუყრია თავი.

გააბეს და გააბეს სამთ ლაპარაკი ქვეყნის ათას მითქმა-მოთქმაზე, ჭორიკანაობაზე თუ მრავალ-გვარ ცრუმორწმუნოებაზე; ერთი სიტყვით, მთელი ქიზიყი გულ-დაღმა გადმოაბრუნეს და გაქელეს და გამოქელეს. ბოლოს და ბოლოს-კი ძალზე გაავთრებულები და ერთმანეთზე გულ-განრისხებულები ლაპარაკს აღარ აცლიდნენ ერთმანეთს და ისე რუსულ საქანელასავით აუმაღლაურეს და გააძლიერეს გაცოფებული ყაყანი სიტყვის წართმევ-წამორთმევით, რომ ან ჯოჯოხეთის საზარელი ხმაურობა გეგონებოდათ, ან მეორედ მოსვლის ქარიშხალის შხუილ-ღრიალი და ან იფიქრებდით: ზაქარიას შინა-ბაღჩაში მთელი ქვეყნის დიდი ბაზარ-იარმუკა გამართულა და ეს იმისი დაუცხრომელი ყატყატი და ცამდე ამწვდომი გა'ტიბუგუს გუგუნ-გრიალი გაისმისო.

ღრმად დაფიქრებული თიკო-კი სრულიად არ იღებდა მონაწილეობას იმათ საშინელ ყატყატში და არცარა ესმოდა-რა იმათი. ის თუმცა იმათთან იჯდა და ცისფერ ჩულქებს ყელს ადგამდა გავარჯიშებული ბროლის თითებით, მაგრამ ზეაღფრთოვანებულის გრძნობა-ფიქრებით გატაცებული ათას ნეტარების ცაში დაფრინავდა ფრთა-გაშლილ ოცნებათ ნაქცევი. მისი უმანკო სახე, რომელიც ყოვლად-მეცნიერის მალალ-ნიჭიერების სიბრძნესავით ბრწყინავდა და ელვარებდა, აშკარად აგრძნობინებდა მნახველს უსაზღვრო სიყვარულის განცხრომის გამომეტყველებას და იმ გამომეტყველებაში—მთელს პოეზიას სიყვარულისას. ისე მოსწყინდა, შეჰბეზრდა და შეეზიზღა თიკოს იმათი ძალზედ გაცოფებული ყატყატი, როგორც ჭკვა-გრძნობით უღრმესად განვითარებულ ადამიანს შესძაგდება ხოლმე გრძლად გაჭიმული ამბავი ქარაფშუტული არარაობისა, ადგა და გასწია სახლისკენ, რომ განმარტოებულს უფრო ცხადად წარმოედგინა თავისის მომავალ ცხოვრების სანატრელი სურათები, უფრო ღრმად დაფიქრებულიყო იმ თავისს დიდად საეჭვო ბედ-იღბალზედ და მის შემაფერხებელ მიზეზებთან შებრძოლებაზედ.

განთიადის მოციმციმე ვარსკვლავივით ფერ-მიმკრთალს თიკოს ატლასივით მოელვარე შუქნათელი გადასდიოდა მშვენიერ სახეზედ, ნაზად მიმავალს მოშრიალე ალვის ხესავით ერხეოდა სანარ-ნაროდ ჩამოსხმული ლერწამტანი, კაცის თავრეტ-დამსხმელ შავეუეუნა დიდრონ თვალებიდგან ტრფობის ცეცხლის ანაპერწკლებული სხივები გამოუკრთოდა ელვის კაშკაშით და გულის სიღრმემდის აჟრჟოლებდა და ათრთოლებდა კაცის გრძნობიერებას.

დ. მაჩხანელი.

*** ტფილისში კარგად ცნობილი თვალ-მაქცი ნიკოლოზ ალ. კოზლოვი, რომელიც წარსულ ზამთარსაც იყო აქ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ქ-ნს ეპისტიმია მედვედევისას, ასე 20 წლისას, რომლისთვისაც კოზლოვს პირობა მიუცია შეგირთავო და შემდეგ გაგდება დაუპირებია, დაუჭრია რევოლვერით კისერში და ხელში. კოზლოვი ამ ჟამად დონის ოლქის საავადმყოფოში წევს თურმე, ხოლო მედვედევისა შეპყრობილია. მედვედევისა ტფილისადგან წაუყვანია კოზლოვს.

*** შეუძლებელია იმისი წარმოდგენა, თუ რა ამბები ხდება ავჭალის ქუჩაზედ წვიმა-ნიაღვრების დროს. მთელი ავჭალის ქუჩა ამ დროს პირის პირ გადალისლისებულია ნიაღვრის წყლით და გადასვლ-გადმოსვლა ქუჩის ერთი ნაპირიდგან მეორეზედ თუ არ ფაიტონით, სხვა რითიმე შეუძლებელია. არას ვიტყვით იმათ შესახებ, ვინც სამსახურში დაიარება, ან სხვა-რამ საჭირო საქმისათვის მიდის სადმე და ეს ზღვა-ნიაღვარი-კი მთელის საათობით აცდენს, აგვიანებს; აქ შესაბრალისნი არიან უფრო მოსწავლენი — ქალნი თუ ვაჟნი, რომელნიც იძულებულნი არიან ან სულ აღარ წავიდნენ სკოლაში, ან არა და პირდაპირ გასტოპონ ამ ზღვა-წყალში და ისე ამოზუნზლულები მივიდნენ სასწავლებელში; და ეს-კი მოსწავლეთა უმეტესობას ემართება ხოლმე, რადგანაც ყველას არა აქვს შეძლება შაური აძლიოს მეფაიტონეს ქუჩის ერთის ნაპირიდგან მეორეზე გადასვლაში. ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს; თუ კარგად არ იცის, რამდენად შეწუხებულები არიან კუკიის მცხოვრებლები ამ ნიაღვრით, ერთხელ წვიმიან დღეებში რომელიმე წევრი გამოგზავნონ, რომ საკუთარის თვალით იხილონ მშვენიერებანი ამა ქუჩისანი ნიაღვრის დროს, და ეცადოს გამგეობა როგორმე წვიმის წყალს გზა გაუჩინოს, გაუკეთოს საკმაოდ დიდი მილი, რომ წყალი ამ მილით პირ-და-პირ მტკვარს შეუერთოს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი «რეინიკე კუდა-მელა» ვ. გეტესი, გადმოღებული რუსულიდგან საყმაწვილოდ (პესკოვსკის-მიერ გადმოკეთებული) გ. იოსელიანის-მიერ. წიგნი გამოუცია ცნობილის წიგნის მაღაზიის პატრონს ზაქარია გრიქუროვს, კარგა მოზრდილის ფორმატისაა და შეიცავს 166 გვერდს. წიგნი ღირს ათი შაური.

*** გამოვიდა IX № ჟურნალის „მოამბისა“ შემდეგის შინაარსით: I პალეს დარდი. — ამბავი ა. ნადირაძისა. II მშვიდობით. — სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა თ-ლისა. III ცეცხლითა და მახვილითა. — ნაწილი მეორე. — თავი XI. — რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა. IV განთიადი — რომანი ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასი. V მთიულეთი 1804 წელსა. — VIII. ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა. VI სასწაულია თუ არა? — კ. ბ—ძე. VII რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება — V. — სადღვები მასალის მდგომარეობა და იმის მნიშვნელობა. — პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა. VIII ჩემი დღიურიდან, — აბაკუნოსი. IX ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა. — პ. ჭარაიასი. X პროვინციის ცხოვრება — (ხმა ივრის ხეობიდან) იერემიასი. XI განცხადებანი. დამატება: XII საქართველოს სიძველენი.

## კორესპონდენცია.

**კონსტანტინოპოლი.** ეხლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშვიდობა დამყარებულია. აქაური ელჩების რჩევით, სომხები ეკკლესიებიდგან გამოვიდნენ. დუქნები და ყოველივე სავაჭრო ადგილები გაიღო. სულთანი ტრაპიზონში მომხდარ არეულობის შემდეგ დასთანხმდა სახელმწიფოების მოთხოვნილებას. გერმანიის ელჩიც შეუერთდა ეხლა რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს და მოსთხოვეს სულთანს დაუყოვნებლივ დასთანხმდეს მათს რჩევას. აქ სტამბოლში შვიდ სახელმწიფოთა: რუსეთისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, იტალიისა, ავსტრიისა და თათრის თარჯიმანებისაგან უნდა შესდგეს კომისია, რომელსაც ექნება მინდობილი მთელი ოსმალეთის ქრისტიანთა მართვისა და ცხოვრების საქმე. რეფორმა უნდა იქნეს მთელ ოსმალეთში, ხოლო დაწყებით უნდა დაიწყონ მცირე აზიიდგან, ესე იგი ჯერ ესრედ წოდებულ სასომხეთოდგან. ხუთ წელიწადს სომხები ყოველივე სახელმწიფო გარდასახადისაგან უნდა განთავისუფლდნენ, სასუნში დახოცილ სომხებისათვის უნდა მიეცეს კომისიას ორასი ათასი ოქრო. ყველა ვილაიეტებში, სადაც სომხობა უმეტესი აღმოჩნდება, იქ გუბერნატორს გარდა ყველა მოხელე და პოლიცია სომხებისაგან უნდა იქნეს. ჟანდარმებიც სომხები უნდა იქნეს ადგილის და-გვარად. ასე რომ ყველა ესენი არის დამოკიდებული ხალხისა და რჯულის რაოდენობაზედ.

თუ ერთ სასომხეთის ნაწილში სომეხი მეტია, იქ ჯარიც, მოხელენიც და სამმართველოს წევრებიც სომხებისა მეტი უნდა იქნეს, აგრეთვე თათრებისა, სადაც თათრები მეტია. საზოგადოდ მთელს სომხეთს უნდა დაენიშნოს ერთი მმართველი — „ვალი“ ხუთის წლით — თათარი. როგორც ეს ვალი, ისე ყველა მოხელენი სომხეთისა დ მართვა ისევ სულთანის ბრძანებისა და კანონის ქვეშ იქნება. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შვიდთა სახელმწიფოთაგან შემდგარმა კომისიამ თვალ-ყური უნდა ადევნოს საქმის მსვლელობას და თუ რამეს ურიგოდ დაინახვენ, ან უნდა გაასწორებინოს ამ კომისიამ, ვისიც ჯერ იქნება, და ან უნდა განუცხადოს ევროპის სახელმწიფოებს.

ტრაპიზონის აჯანყების მიზეზად სთვლიან ბახრი-ფაშას. ბახრი-ფაშას, ამბობენ, წამოუყვანია სომხეთიდგან ძალიან ლამაზი გოგო ვითომც ძალით. როცა ტრაპიზონში შემოსულა, დასცემიან სომხები და სდომებიათ გოგოს წართმევა; მომხდარა შეტაკება და თვით ფაშა დაუჭრიათ. ფაშა გაჯავრებულა და უბრძანებია სომხების გაწყვეტა. ტრაპიზონის ვალს ეს უუკადრისებია და წინააღმდეგი განკარგულება მოუხდენია, მომხდარა საყოველთაო აჯანყება. ვალიც მოუკლავთ და ბევრი კიდევ სხვა მისი მოხელეები. ტრაპიზონის აჯანყებას, როგორც აქ ისმის, უმსხვერპლებია ათასზედ მეტი სომეხი და ასამდის თათარი. სამი ათასი მოსახლობა, ამბობენ, რუსისა და სხვა გემებზედ შეფარებულან. რუსის ცეცხლის გემი აზოვი, რომელიც ბათუმიდგან აქ წარსულ შაბათს, 1 ოქტომბერს, უნდა მოსულიყო, ჯერაც არსად არის. დღეს, 7 ოქტომბერს, მოელიან. აქ ხმა დაყარეს, ვითომ ტრაპიზონში რუსეთს ჯარი უკვე შეეყვანოს.

ერთ სომეხს ვერ ნახავ, აქ რომ ასე არ გაიძახოდეს: „ან სიკვდილი, ან თავისუფლებაო“.

ვაჭრობა ჯერ კიდევ დავარდნილია, ევროპიდგან სომხების სახელზედ საქონლის გზავნა შეჩერდა. აუარებელი ვექსილები უკან დაბრუნდა. თუმცა ეხლა ყველაფერი დაწყნარებულია, მაგრამ რამდენ ხანს გასწევს ასე მშვიდობით, ჯერ არავინ იცის. ყველა შიშობს. ახალი ცხენოსანის ჯარი უნდა შესდგეს, რომლების მოვალეობა იქნება ქუჩა-ქუჩა იარონ და მშვიდობიანობა დაიცვან; ჯერ კიდევ ქუჩებში ჯარი არის ჩაყენებული.

იმმა.

—

P. S. სახელმწიფო ლოტარიამ „შმენსდი ფერმა“ ორის ფრანკით აიწია. თათრის სხვა საბახშო ქაღალდები ჯერ კიდევ ძლიერ დავარდნილია. შიგ სასახლეში არეულობა და პარტიათა ბრძოლა არის. სათათრეთის დღევანდელი მდგომარეობა დიდად არაფრით არ გაუმჯობესებულა. შიშობენ, თუ რომ სომხებს მართლა (რამე რეფორმა) მიანიჭეს, ხალხი აჯანყდებაო, — თვით თათრის ხალხიო თუ არა და მაშინ სომხებიო. ასე ორ ცეცხლ შუა არის დღეს ჩავარდნილი თათრის მმართველობა და ჯერ კიდევ ნამდვილს ვერვინ იტყვის, როგორ გათავდება. საფრანგეთის გაზეთები სწერენ: „სომხების საქმეში უეჭველად რუსეთი ჩაერევა, თუ ჩქარა არ დაწყნარდაო და ეს გამოიწვევს იმასა, რომ „სათათრეთი და კონსტანტინოპოლი დაიყოფა სახელმწიფოებთა შორისო.

იმმა.

—

**საჩინო,** 10 ოქტომბერი. საჩინოს მახლობლად სოფ. როხში ამ ხუთის დღის წინად ერთი მოხერხებული ავაზაკობა ჩაიდინეს ვიღაც ბოროტმა პირებმა, რომლის მზგავსი ჯერ ჩვენში არ მომხდარა. აი საქმე როგორ იყო: ამ სოფელში ვაჭრობდა (ფართლეულობით) ერთი ურია, რომელსაც გვარიანი შეძლება ჰქონდა. დუქანი შუაგულ სოფელში აქვს, სადაც ხშირი მოსახლობაა, ეს იმისთვის, რომ გაძარცვისაგან უზრუნველყოფილიყო, მაგრამ მოსტყუვდა საბრალო! ნაშუადღევის მეორე საათი იქნებოდა, რომ ურიის დუქანს მოადგა ერთი აფიცრის ტანისამოსით გამოწყობილი კაცი, რომელსაც თან ახლდა ხუთი ცხენოსანი, ვითომდა ყაზახ-რუსები. ურიას ტამოჟნისა თუ პოლიციის მოხელე ეგონა და თავაზიანად სალამი მისცა. „აფიცერი“ შევიდა დუქანში, ურიამ სკამი მოართვა; მხლებელნი ზოგნი დუქანში შევიდნენ, ზოგნი-კი გარეთ ცხენებთან დადგნენ. ერთმა მხლებელთაგანმა რიხიანად უთხრა სტუმართ-მოყვარე ურიას: მოიტანე რაც კარგი და კარგი ფართლეულობა გაქვს, ბატონს ნებავს იყიდოსო. ურიამ, რასაკვირველია, მიართვა, მაგრამ ამ „მირთმევასაც“ დასასრული არ მიეცა. მთელი დუქნის ქონება გადმოალაგებინეს და თავიანთ ხურჯინებ-მაფრაშებში ჩაილაგეს. როდი „დაუარშინებიათ“, თოფობით იყიდეს. ამ რიგად მთელი დუქანი დაცალეს.

ურიას „ფერი“ ეცვალა, მიხვდა რაც დღე ადგა; მაგრამ რა ექნა? მშველელი ვინ იყო? ბოლოს ჯიბის ფულიც მოსთხოვეს. „დახლი“ გაუჩხრიკეს და დიდად გაუჯავრდნენ, რომ ექვსის თუმნის მეტი ვერ იპოვეს. „შე ყურუმსაღო, გვითხრეს მდიდარი ურიააო და ექვსი თუმნის მეტი არ გაქვსო“! ბატონო, რაც ფული მქონდა, იმითი ამ წინაკვირეში ახალი საქონელი მოვიტანეო, ის საქონელი, რომელიც თქვენ ხურჯინებ-მაფრაშებში ალაგიაო და მეტი აღარა გამაჩნია-რაო!.. ეს დუქანი გზის პირათაა, იმ გზის პირად, რომელსაც „ბაღდადის შოსსეს“ (გზატკეცილს) ეძახიან. გამვლელ-გამომვლელი მგზავრები ყოველ საათში ბლომადაა და აღნიშნულ შემთხვევის დროსაც ბევრნი იყვნენ, მაგრამ „აფიცერმა“ და მისმა „ყაზახ-რუსებმა“ ყველანი გააჩერეს და შემდეგ ურიის დუქნის გამოცალიერებისა, დუქანში შერეკეს და გარედგან კარი გადმოუკეტეს და უბრძანეს, რომ ერთის საათის გასვლამდის ხმა არ ამოიღოთ და ყვირილი არ დაიწყოთ, თორემ სასტიკ პასუხს გვიგებთო! ასე ამ რიგად, როგორც ბატონურად მობრძანდნენ, ისე ბატონურად „ჩახურჯინებული“ წაბრძანდნენ თავიანთ „საბრძანებელსა“ შინა. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო!“

პოლიციის მოხელენი გაფაციცებით დაეძებენ ავაზაკებს, მაგრამ ჯერ კვალსაც ვერ მიაგნეს.

იმავე ავაზაკებს იმავე დღეს ერთი მგზავრი გლეხისათვის კარგი ცხენი წაურთმევიათ და თავიანთი დავარდნილი ცხენი მიუციათ, და ოც-და-ათი მათრახი სათავათ მიურთმევიათ.

თეონა.

## ჭიათურის შავი-ქვის მადნები, როგორც სიმდიდრე.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ ჭიათურის შავი-ქვის შესახებ გრძელის ლაპარაკით. მხოლოდ შევეხებით უმთავრესს კითხვებს მოკლედ, შევეხებით ამ მდიდარ მადნის მწარმოებლებთა შეგნებას, წარმოებას და რიგიანობას.

ეს დასახელებული მადნები მადნეულის ღირსებით, მდებარეობით და რაოდენობით დიდ სიმდიდრეს შეადგენს მცოდნე მწარმოებლების ხელში. მაგრამ, საუბედუროდ, ეს აუარებელი ქონება თითქმის მთლად უვიცების ხელშია. $^3/_4$-მა შავი-ქვის მწარმოებლებისამ არ იცის ადგილობრივი, უსაჭიროესი საგანი წარმოებისათვის გამოსაყენებელი და თუ ამ გვარი მწარმოებლები აქ ფეხს იკიდებენ, ეს იმის ბრალია, რომ მადანი ადვილი დასამუშავებელია. ამგვარმა მწარმოებლებმა იციან მხოლოდ ზესტაფონს ჩატანილ ფუთ შავ-ქვაში რამდენ კაპეიკს ღებულობენ და მეტი არაფერი! ზესტაფონიდამ ფოთამდე ან ბათუმამდე თითო-ოროლამ თუ ჩააწია, დანარჩენი მაწარმოებლები ზესტაფონს არ გასცილებიან. რაღა გასაკვირველია, რომ ამ გვარ მწარმოებლებისთვის შეუძლებელი შექმნილიყოს ვაჭრობის წეს-რიგის გაცნობა. როგორც ვაჭრობის ხასიათი და პირადული ანგარიში მოითხოვს, სწორედ ეს როლი ზედმიწევნით შეასრულოს საზღვარ-გარეთ საქონლის გამზიდველებმა. უვიცი მწარმოებლები მათ ხელში ბრმა იარაღი შეიქნენ: ისე ატრიალებდნენ, როგორც მათ ჰსურდათ. ამისთვის რა გასაკვირველია, დახელოვნებულ ვაჭრებს (ჩვენებური იქნებოდა ის, თუ გარეშე) რომ ამ გვარ მწარმოებლებისათვის თავის დაცვის ძებნის იარაღი, სურვილი წაერთმიათ და ეთქვათ:

არა, იქ ნუ მიდიხარ, აქ მო, აქ ჩემთანაო! ასეც მოხდა: ყველაფერი მოსატყუებელი საშუალება მისცეს, რომ შორს არ წასულიყვნენ, არ გაეცნოთ გარეშეები და ამითი კონკურენცია არ გაედიდებიათ. ამ უვიც მწარმოებლების თვალის ასახვევ ერთ უდიდეს იარაღად, წინ-დაწინ ფულის მიცემა შეიქმნა (ავანსი). ამან მთლად ერთ ყუთში მოამწყვდია დიდი რიცხვი მწარმოებლებისა. ამან გამოაცალა თვალ-წინ დაყენებული საჭიროება, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ ფულის მსესხებლის შინა ყმა შეიქნა. აქედგან კარგავს ენერგიას, სურვილს სხვაგან რაიმეს ძებნისას. ამას დავუმატოთ ჩვენის მწარმოებლების ხასიათის შეგნება. საზღვარ-გარეთ საქონლის გამტანმა, რაკი შეიტყო, რომ ტკბილ სიტყვას, მელურ გაცინებას, ხანდისხან წითელ ღვინოს, დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლია, ამაებს უხვად აძნევდა, მაგრამ-კი არ ჰკარგავდა, ეს ითესებოდა და ერთი ათასად იზრდებოდა მთესველის სასარგებლოდ. აქ ისკვნება მწარმოებელთა და გამზიდველთა კავშირი. პირველებისთვის თვალის ასახვევი და მეორეებისთვის თვალ-ასახილავი, სასარგებლო. საზღვარ-გარეთ საქონლის გამზიდველები მართალნი არიან თავიანთ მოქმედებაში. ისინი მოქმედებდნენ და მოქმედებენ თავიანთ ჯიბის სასარგებლოდ და არა გარეშეებისათვის. ამ დროს ჩვენებურ მწარმოებლებს თავიანთ პირადულ ანგარიშებისთვის შეგნებულათ რომ ემოქმედნათ, მაშინ მწარმოებელთა და გამზიდველათ შორის კავშირი არსებითად შეიცვლებოდა, — პირველები გაღონიერდებოდნენ და მეორეები დასუსტებოდნენ, მაგრამ მახლას!

16 წელიწადი გადის, რაც ჭიათურის შავი-ქვა საზღვარ-გარეთ გააქვთ. ამ დროის განმავლობაში მადნებში შავი-ქვის მწარმოებელნი, თითქმის მთლად ქართველობაა. ესენი მადნეულს ამზადებენ და როგორც ცოტას-კი მოაცილებენ, აგერ ყელში დამდგარ კომისიონერის ხელში ვარდებიან. აქ რაღაც მანქანებაა დასალეწი, მაგრამ ეს მანქანება უვიცობას ადვილად იმორჩილებს. ორი უდიდესი მიზეზი შეიქნა უვიცების ამ ხაფანგში გამხვევი: უვიცობა და უფულობა. მეორე-კი პირველის შვილია ამ საქმეში.

ვისაც საქმისათვის თვალ-ყური უდევნებია, მან კარგად იცის, რომ ევროპიელები ჩვენში ფულით დატვირთული არ მოსულან; მტვირთავები-კი ჩვენ შევიქენით ჩვენი უვიცობის გამო. აბა, ვინ მოვიდა აუარებელი ფულით? არავინ. როგორ იშოვეს საჭირო ფული

ნდობით. ჩვენებს არ შეეძლოთ ნდობით ფულის შოვნა?! კი, მაგრამ უვიცობაა! აი, ეს რაღაც უფიცობაა, მაჯლაჯუნათ გადაგვქცევია და გვაწოვს. მე-და ჩემმა ღმერთმა, დროა, რომ ეს მაჯლაჯუნა მოვიშოროთ!

შორაპნიდგან—ჭიათურამდე რკინის გზის გაყვანის წინად, შავი-ქვის ზესტაფონს ჩამოტანა უფრო ძნელი იყო უგზოობის გამო. ამისთვის, ვისაც ზესტაფონს ქვა-გუნდა ჩამოჰქონდა, რისათვისაც საქონლის გამტანისგან პატივცემული იყო. რასაკვირველია, საქონელი სჭიროდა და ამისთვის ხერხსაც ხმარობდა. დღეს-კი გუშინ პატივცემული მწარმოებელია მაჩანჩალად გამხდარი. იგი კაპიტალისთვის იმდენად საჭიროა, იმდენად პატივცემულია, რამდენათაც კაპიტალისტი საქონელს საჭიროებს-საქონლის დიდი საჭიროება შეუძლებელია, რადგან ბევრია. მაშ აქ კაპიტალისტი იძახის: ძირს მწარმოებლებო—მემამულეებო, ჩვენია საქმე, გზა დაცალეთო!

დღეს კაპიტალისტი საქონელს მაშინ ყიდულობს, როცა საჭიროებს იმ იმედით, რომ თავის საჭიროების დაკმაყოფილება ათვილად შეუძლია. ეს არ იყო რკინის გზის გაყვანამდე, არ იყო გზების უვარგისობის გამო. ამგვარად სიმდიდრე უვიცების ხელშია;—დღემ, დი არაფერია და აღარც იქნება-თუ არ შეიგნეს ამ წარმოების ძარღვის ცემა.

ცნობის მოყვარე მკითხველი დამომეკითხება: აბა, გვიჩვენე რა ვქნათო. ეს კითხვაა საჭირო. ამ კითხვის შესახებ მე ჩემსას ვიტყვი, სხვამ თავისი თქვას, ამით იქნება უვიცობა გავფანტოთ. პირველად ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ვაჭრობაზე გვაქვს ლაპარაკი. ვაჭრობა ყოველთვის ყოფილა და არის პირადი, საკუთარი ინტერესის დაცვა. ამისათვის ამ სფერაში ერთსულობას, ერთობას უფრო ნაკლები ალაგი უჭირავს. არ ხერხდება, ვერ თვისდებიან, სანამ მათ რომელიმე გარეშე ძალა არ დააძალებს. უამძალოთ თითოეული თავისთვის მოქმედებს, თავისთვის ეძებს, ცდილობს, სხვას აჯობოს, მეზობელს გადაალაჯოს და სხვა. ეს მოქმედება მაშინ უფრო გავრცელებულია, როცა საქმე უფრო კარგად მიდის. ის უფრო ამაყია, ვინც უფრო წინ მიდის, და დაბრკოლებებს თელავს. ის უფრო მშვიდია ვინც დაბრკოლებებს შეუყენებია, ვისაც დახმარება ესაჭიროება. მაგალითად მოვიყვან. როცა შავი-ქვის მწარმოებლები — გამტანლებისაგან სესხათ ფულს ღებულობდნენ, ესენი ამ ფულით მედიდურობდნენ. ის უფრო მეტს ყოყოჩობდა, ვინც მეტ სესხს ღებულობდა. ამ დროს ავიწყდებოდა, რომ ვალი აჰკიდებია ზურგზედ. რკინის გზის გაყვანის შემდეგ ეს დრო გადატრიალდა. აღარ არის „ამანი“ (ზოგი მწარმოებელი ავანსის მაგიერად „ამანს“ ამბობდა.) აღარც ის ყოყოჩობა. ამასთან შეიცვალი შავი-ქვის საქმეების მსვლელობაც; სხვა გზას დაადგა—უფრო საშიშს მწარმოებლებისთვის და ადგილის მეპატრონეებისათვის. შეგვიძლია ამ დროს მესამე ხანა დავარქვათ, შავი-ქვის წარმოების დროს მთელ დროის განმავლობაში. აი როგორ: პირველი ხანა ის იყო, როცა საზღვარ-გარეთლები. პიო, ბარონი, პუავე და სხვა და ქართველები ივ. მუხრანსკი, მოსეშვილი, ჩუბინიძე, სიხარულიძე და სხვები აწარმოებდნენ ამ დასახელებულ მადნებს; ამ დროს საქმე კარგად ვერ წავიდა, როგორც ყოველთვისაა პირველად დაწყებულ საქმეში. როგორც საზღვარ-გარეთლებმა, ისე ქართველებმაც გამოუცდელობა გამოიჩინეს ამ ახალ საქმეში. ჭიათურის გზების უვარგისობა, საწარმოებ იარაღის უცოდინარობა, ევროპაში ბირჟის გაუჩენლობა და სხვანი გახდნენ მიზეზათ, რომ ბევრმა დაკარგა თავიანთი ქონება. მიუხედავად იმისა, რომ ფასს კარგს იძლეოდნენ, ასე რომ პირველი მწარმოებლების მეოხებით შავი-ქვის გასავალი კარები გაიღო და დაიწყო დენა. თუმცა-კი ამ დენას ზოგმა ვერ მოუცადა, ძალიან მწარე შეიქნა მათთვის გზის გატკეცა და გაიქცნენ. ამ დროის მწარმოებელთაგან საქმეს შერჩნენ მხოლოდ მოსეშვილი, ჩუბინიძე, სიხარულიძე და სხვა. ესენი უფრო იმის გამო შერჩნენ საქმეს, რომ საზღვარ-გარეთელებივით ბევრი ფული არ ქონდათ და უფრო მარტივათ, ადგილობრივ ხერხით აწარმოებდნენ საქმეს.

(დასასრული იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

იმ კრებაზედ, რომელიც უკანასკნელადა ჰქონდათ 30 სექტემბერს საერობო დამზღვეველ აგენტებს, მოისმინეს მოხსენება სოფლებში ცეცხლის მქრობელ საზოგადოებათა დაარსების შესახებ. ეს საგანი რუსეთის ცეცხლისაგან დამზღვეველ შეერთებულ საზოგადოების დელეგატმა ი. ო. ფესენკომ აღძრა, რომელმაც წარუდგინა კრებას განსახილველად რამდენიმე პროექტი ცეცხლისაგან დამზღვეველ სასოფლო საზოგადოებათა; აქ განიხილეს პეტერბურგისა, ხარკოვისა და სხვათა ერობათა-მიერ შედგენილი პროექტები და აგრეთვე ცეცხლისაგან დამცველ რუსეთის შეერთებულ საზოგადოების წესდების ნორმალური პროექტი, რომელიც ამ საზოგადოების ერთს წევრს შეუდგენია. ამ პროექტების განხილვის დროს გამოირკვა, რომ ცეცხლისაგან დამცველი საზოგადოებანი შეიძლება დაარსდნენ მხოლოდ ისეთ დიდ დაბებსა და სოფლებში, სადაც ვაჭრობა-მრეწველობაა გავრცელებული და სადაც ბლომადა სცხოვრობენ ისეთნი პირნი, რომელნიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნიან. ხოლო რაც შეეხება ისეთს სოფლებს, სადაც მცხოვრებთა რიცხვიც მცირეა და სადაც ეს უკანასკნელნი მხოლოდ მიწის შემუშავებას მისდევენ, ასეთს სოფლებში ხსენებულ საზოგადოებათა დაარსებას არავითარი ნიადაგი არ ექნებაო; აქ შეიძლება დაარსდნენ სასოფლო ცეცხლის მქრობელი რაზმები, რომელთა ტიპის შემუშავებაც სოფლის ყრილობას უნდა მიენდოსო, რათა ყოველ მხრივ ეთანხმებოდნენ იგინი ადგილობრივ პირობებსაო. ხოლო ზოგიერთს სოფლებში სრულიად შეუძლებელად სცნო კრებამ ასეთის რაზმების დაარსება, რადგანაც ბევრგან მამა-კაცნი სრულიად არა რჩებიან სახლში და გარეთ, ქალაქებში, ეძებენ სამუშაოსაო.

—

სამიწათ-მოქმედო სამინისტროს, როგორც ამბობენ, განუზრახავს დააარსოს საშუალო და დაბალი სამიწათმოქმედო სასწავლებლები ხარკოვისა, ეკატერინოსლავისა და დონის გუბერნიებში და აგრეთვე ამიერ კავკასიაშიაც.

—

„მოსკოვ. ვედომ“. გაუგონია, რომ სამიწათ-მოქმედო სამინისტრო მალე განიხილავს ახალს პროექტს შემოსავლის სავალდებულო დაზღვევის შესახებაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

„სტანდარდის“ კოსტანტინოპოლელი კორესპონდენტი იწერება 17 ოქტომბერს სტამბოლიდგან:

დღეს გალატსა და სტამბოლში სომხებმა ყველა მაღაზიები გახსნეს. სომხები ეხლა თავისის პირით აღიარებენ, რომ უკანასკნელის ათის დღის განმავლობაში დუქნები და მაღაზიები მხოლოდ იმისათვის გვქონდა დაკეტილი, რომ ჩვენივე სომხები გვემუქრებოდნენ დაგხოცავთ, თუ არ დაჰკეტავთო. ემისართ, რომელთაც, როგორც საიდუმლო მინდობილობის მექონე პირთ, საელჩოების ბარათები ჰქონდათ პოლიცია ვერაფერს უშვრებოდა, რადგანაც მათ პირდაპირ საელჩოები უწევდნენ მფარველობასს. მართალია, ტერორი მეფობდა ოსმალეთის სომეხთა შორის, მაგრამ პოლიციისაგან-კი არ იყო იგი გამოწვეული, როგორც ფიქრობდნენ, — პოლიციელებისაგან ფიქრი სრულიადაც არ ჰქონდათ სომხებს,—არამედ თვითონ მათ მემამულე სომხებისაგან, რომელნიც შუადღისას შებრძანდებოდნენ ხოლმე სომხების მაღაზიებში და დუქნებში და ხალხის თვალ-წინ უბრძანებდნენ დაეკეტნათ მაღაზიები,—წინააღმდეგს შემთხვევაში სიკვდილი არ აგცდებათო. ასეთი ამბავი გუშინაც მოხდა ერთის ინგლისელის თვალ-წინ.

## უცხოეთი

—

**ბულგარია.** 24 სექტემბერს სოფიაში დიდის დიდებით იდღესასწაულეს ბულგარელებმა 25 წლის სალიტერატურო მოღვაწეობა ივანე ვაზოვისა, რომელიც „ბულგარიის პუშკინად“ ითვლება, რომლის ზოგიერთი რომანებიც თითქმის ყველა ევროპიულს ენაზეა ნათარგმნი და რომელიც საზოგადოდ ცნობილია როგორც ნიჭიერი და განათლებული მწერალი. ეს დღესასწაული მართლაც დიდად შესანიშნავი იყო იმითი, რომ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო მთელმა ბულგარიამ და ეროვნული ხასიათი მისცა მას; როგორც სატახტო ქალაქ სოფიაში, ისე ყველა პროვინციებშიაც დაარსდა საიუბილეო კომიტეტები, რომელთაც გამოარკვიეს პროგრამა დღესასწაულობისა; საზოგადოდ მთელი ბულგარია მოძრაობაში იყო.

დადგა 24 სექტემბერი. ამ დღეს სოფია მთლად ღელავდა და დღესასწაულში მონაწილე ხალხისაგან; მთელს დღეს ულოცავდნენ იუბილარს, მოსდიოდა დეპეშები ბულგარიის ყველა კუთხეებიდგანა და ევროპიდამაც, მისდიოდა საჩუქრები და ადრესები; ულოცავდნენ ნაციონალურ კრების დარბაზში, ულოცავდნენ და „ვაშას“ ძახილით ეგებებოდა ხალხი ყველგან, სადაც-კი იუბილარი გაჩნდებოდა—ქუჩაში, მის პატივისაცემლად გამართულ სანადიმო დარბაზში, სამუსიკო-სალიტერატურო სალამოზედ, რომელიც მის სახელზედ დასაარსებელ ფონდის სასარგებლოდ იყო ამ დღეს გამართული იმ მწერალთათვის პრემიის მისაცემად, რომელნიც საუკეთესო ნაწარმოებს დასწერენ და სხვანი. დღესასწაულობას ერთი ათად მეტს მნიშვნელობას სძენდა თვით იუბილარის თავდაჭერილი ქცევა; ურიცხვი სიტყვა მოახსენეს იუბილარს და თითონაც რამდენჯერმე წარმოსთქვა საპასუხო სიტყვა. სხვათა შორის, აი რა სთქვა იუბილარმა:

„დიახ, ეს დიდებული დღესასწაულობა პირადი ჩემი პატივისცემა არ არის. ჩემ წინა სდგას მთელი რიგი სახელოვანის მწერლებისა, გამბედავ მეკალმეთა და მებრძოლთა, რომელთაც გადმომცეს მე ხალხის აზრი, იდეები, რომ მე ჩემის მხრივ იგი მოზარდ-თაობას გარდავცე. დღეს მე ვხედავ, როგორ იზრდება თან-და-თან ჩვენი მოზარდი თაობა, როგორ მიიწევს იგი წინ პროგრესის გზაზედ ახალ-ახალის მისწრაფებით აღჭურვილი, იმ ცხოველს-მყოფელის ცეცხლით ამოძრავებული, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ეწოდება. იმათ დიახ, იმათ ეკუთვნის მთელი ნახევარი ამ პატივის-ცემათა, რომელთაც დღეს ბულგარიის ერი მე შემომძღვნის; ხოლო მეორე ნახევარი ეკუთვნის ძველ მოღვაწეთ; მე-კი პირადად მაკმაყოფილებს ის წარმოდგენა, რომ მე შევიქენ მიზეზად მათის მოგონებისაო..“

## დეპეშა

(„ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტისაგან)

13 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ლონდონიდგან აუწყებენ დეპეშით „ნოვოე ვრემიას“, რომ იტალია თავისს ფლოტს ოსმალეთის ზღვაზედ ჰგზავნის იმ აზრით, რომ საჭიროების დროს ინგლისს მხარი დაუჭიროსო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ოქტომბერი.

**კოსტანტინოპოლი.** ერცინგიანში არეულობა მოხდა. სამოცი სომეხი მოკლულ იქმნა. ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, რომ არეულობა სომხებმა გამოიწვიეს. მარაშშიაც არეულობა იყო.

**ლონდონი.** „სტანდარდ“-ს ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდგან, ვითომ 50 დატუსაღებული წინამძღოლი ახალოსმალეთის პარტიისა ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სამხედრო გემით წაიყვანეს და ზღვაში გადაყარეს.

**სოფია.** გაზ. „მაკედონ. გლას“-ის ცნობა, ვითომც აჯანყებულნი სოფელ კუტნიცას თავს დაესხნენ, ოფიციალურად უარყოფილია.

**ვარნა.** სულთანმა და ზღვათა მინისტრმა მუქარის წერილები მიიღეს.

**იოკაჰამა.** გრაფი ინუიე, რომელიც დაინიშნა საგანგებო ელჩად კორეში, მივიდა სეულს; 36 „სოში“, იაპონიაში დაბრუნებული, დაუტუსაღებიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ოქტომბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდვ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 211¹/₄ |
| 4¹/₂°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 100 |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | — „ | 101 |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | — „ | 99¹/₂ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101¹/₂ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | — „ | 99¹/₂ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |


## განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

ლექსები და წერილები.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

მამის ერთგული.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

მტრედი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.




შეუმჩნეველია სახეზედ მხოლოდ

პუდრა „ჰიგიენა“ მშვენიერის სუნისა.

ისყიდება ყველგან.

„ჰიგიენის“ ამხანაგობისა ს.-პეტერბურგში, ალექსანდრეს მოედანი, 9.

მოსკოვი, ვარშავა. (9—8—4)


Дозволен цензоурою, Тифлисъ 14-го Октября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.